

**გიორგი წერეთელი გიორგი თუმანიშვილის  
ინტერესის არეალში**

**GIORGI TSERETELI IN THE AREA  
OF INTERESTS OF GIORGI TUMANISHVILI**

**მანანა ქაჯაია**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო

**Manana Kajaia**

Georgian Technical University  
Tbilisi, Georgia

**ABSTRACT**

A lot has been accomplished for the study of the works of Giorgi Tsereteli. Many important essays and monographs have been written, in which various aspects of the writer's works have been highlighted, pointing out many notable aspects.

In the works of researchers of the history of Georgian literature (M. Zandukeli, V. Kotetishvili, S. Khundadze, Sh. Dadiani, G. Jibladze, A. Chilaia, D. Gamezardashvili, O. Churgulia, V. Vakhania and others), different aspects of Giorgi Tsereteli's works are identified and evaluated; but the fact is that the critical literature that was created in his lifetime as well as after his death has been fully collected, published with proper scholarly commentaries, and entirely analyzed. It is extremely important to consider the way the society accepted Giorgi Tsereteli's entry to the Georgian literary scene, what aspects of the works by the prominent writer were noticed by the Georgian critics, what moments were highlighted and specified; In brief, what is the historical significance of the writer's works from critics' perspective and, on the other hand, it is necessary to show the valuable ideas of the time that maintained their significance even later and stimulated further research.

In our opinion, the works of the 19th century critics laid the foundation for fundamental research on Giorgi Tsereteli's artistic works.

From the very beginning, Georgian literary criticism had rather positive emotional attitudes towards Giorgi Tsereteli's works. The majority of critics unanimously recognized his versatile talent and profound erudition. When evaluating the writer's work, critics do not agree with each other. This should be regarded as completely normal since in case of Giorgi Tsereteli, we are dealing with a multifaceted artist.

The paper examines Giorgi Tumanishvili's opinion about Giorgi Tsereteli. Among Giorgi Tsereteli's contemporary critics and journalists, Giorgi Tumanishvili was undoubtedly distinguished as a multitalented man with profound erudition, who always looked forward to G. Tsereteli's artistic works. Giorgi Tumanishvili underlines

the contribution of G. Tsereteli as a playwright to the expansion of the limited Georgian repertoire. So, we are dealing with a very interesting artist.

Giorgi Tsereteli contributed his creative works to the Georgian literature.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული მწერლობა, გიორგი წერეთელი, გიორგი თუმანიშვილი, ქართული ლიტერატურული კრიტიკა

**Keywords:** Georgian literature, Giorgi Tsereteli, Giorgi Tumanishvili, Georgian literary criticism.

### შესავალი

საქართველოს ისტორიაში XIX საუკუნე შეიძლება ერთ-ერთ ურთულეს პერიოდად მივიჩნიოთ. ამ საუკუნემ ევროპელი ხალხი ახალი დემოკრატიული აზროვნებისაკენ შემოაბრუნა და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების გზაზე დააყენა. სამწუხაროდ, ეს პერიოდი საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აბსოლუტური მოსპობის ხანად იქცა. ამავ დროს, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეში XIX საუკუნის 60-იანი წლები გარდატეხის პერიოდი როგორც სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში, ასევე იდეოლოგიასა და კულტურაშიც. ამ დროისთვის უკვე გაჩნდა ქართველი ახალგაზრდობა, რომელთაც ახალი, ევროპული კულტურა რუსეთის გზით გაიცნეს, ახალი გავლენა განიცადეს, ახალი მისწრაფება ჩაესახათ. სტუდენტი ახალგაზრდობა XIX საუკუნის 60-იან წლებში თავის მომავალ მოღვაწეობას ხალხის სამსახურში ხედავდა და ეს მსახურება საზოგადოების დემოკრატიზაციაში ესახებოდათ.

იმ დროს რეალურად არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ახალმა თაობამ (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი და ა.შ) მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიის შექმნაში. აქ არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ გიორგი წერეთლის მოღვაწეობა და ღვაწლი. იგი თავისი მსოფლმხედველობის, შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულების მიხედვით 60-იანი წლების, ე. ი. თერგდალეულთა გუნდს მიეკუთვნება. იგი აქტიურად ერეოდა სამშობლოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი ქართველ მამულიშვილთა იმ თაობას ეკუთვნის, რომლებიც გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე და ქართული საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრება ძირეულად შეცვალეს.

გიორგი წერეთლისთვის მწერლობა მხოლოდ ერთი დიდი უბანი იყო მის საქმიანობაში. ამასთანავე, იგი იყო პედაგოგი, ფილოლოგი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ისტორიკოსი, არქეოლოგი, ფოლკლორისტი, ბუნებისმეტყველი, თეატრალური მოღვაწე, სოფლის მეურნეობის დიდი მოამაგე, ასევე, მოღვაწეობდა ჟურნალისტიკაში.

განსაკუთრებით მრავალმხრივია გიორგი წერეთლის მოღვაწეობა საკუთრივ მწერლობის სფეროშიც; იგი იყო პროზაიკოსი, პოეტი, დრამატურგი, ლიტერატურისა და თეატრალური კრიტიკოსი. გიორგი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან ერთად, 60-იანი წლებიდან, ე. ი. ჭაბუკობიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე, იკისრა ძალზე მძიმე და საპასუხისმგებლო მისია ხელოვანისა და, ამავე დროს, ერის მოძღვრისა.

გიორგი წერეთლის შემოქმედებისადმი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას იმთავითვე საკმაოდ დადებითი ემოციური განწყობილება ჰქონდა. კრიტიკოსთა უმეტესობა მწერლის მრავალმხრივ ნიჭს აღიარებდა. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა გიორგი თუმანიშვილი.

მის თანამედროვე ბევრ საქმეს გიორგი წერეთელი მართლაც ჩინებულად ედგა სათავეში. თუნდაც მისი „დროებისა“ და „კრებულის“ რედაქტორობა, ანუ, პედაგოგიური მოღვაწეობა გავიხსენოთ. პედაგოგიური რადგან ვახსენეთ, საინტერესო ფაქტია, როგორც პედაგოგისა და მოწაფის, გიორგი წერეთლისა და გიორგი თუმანიშვილის დამოკიდებულება ერთმანეთთან.

გიორგი წერეთელი თანამედროვე კრიტიკოსებსა და ჟურნალისტებს შორის თავისი მრავალმხრივი ნიჭითა და ფართო ერუდიციით უდავოდ გამოირჩეოდა. გიორგი თუმანიშვილი, რომელიც ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში შევიდა, როგორც ნიკო ნიკოლაძის შემდეგ გაზეთ „Новое обозрение“-ს გამომცემელი, მეტად საინტერესო, აქტუალური სტატიებისა და შესანიშნავი წიგნის „დახასიათებები და მოგონებების“ ავტორი.

როგორც თავად გიორგი თუმანიშვილი აღნიშნავს, გიორგი წერეთელი გარკვეულ პერიოდში მისი მასწავლებელი იყო და, ამდენად, მათ შორის არსებობდა ის განუმეორებელი ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც მხოლოდ მოწაფესა და მასწავლებელს შორის მყარდება. და, რაც მთავარია, გიორგი თუმანიშვილი იყო გიორგი წერეთლის მეუღლის, ანასტასია თუმანიშვილის ძმა.

გიორგი წერეთლისადმი მიძღვნილ წერილს გიორგი თუმანიშვილი სწორედ მის თანამედროვე საზოგადოებაში შემუშავებული აზრის კონსტატირებით იწყებს: „საყოველთაო აღიარებით იგი იყო ტალანტიანი და შრომისმოყვარე ადამიანი..., რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე საზოგადო მოღვაწეობას მიუძღვნა“ (Туманов 1913: 5).

აღსანიშნავია, რომ, გარდა თუმანიშვილის მიერ ქართული თეატრის აღორძინების იდეის პოპულარიზებისა, გიორგი წერეთლის რეცენზიებს ერთი სრულიად განსაკუთრებული ღირსებაც ჰქონდათ - ისინი, რადგან რუსულ გაზეთებში იბეჭდებოდა, საქართველოს რუსულენოვან მოსახლეობაში ქართული კულტურის მიმართ ინტერესს აძლიერებდა.

გიორგი წერეთლის რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ რეცენზიებს, ჩვენ აზრით, კიდევ ერთი დადებითი მხარეც ჰქონდა; კერძოდ, ის, რომ არსებობდა, მართალია, მცირე, მაგრამ რეალური ალბათობა იმისა,

რომ აღნიშნული რეცენზიები პეტერბურგისა და თბილისის მაღალი თანამდებობების მოხელეებსაც წაეკითხათ და, ამდენად, ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული ცხოვრების დონით დაინტერესებულ იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი ქართველი ჟურნალისტის გიორგი თუმანიშვილის გიორგი წერეთლისადმი მიძღვნილ წერილს აშკარად ემჩნევა გარკვეული სუბიექტურობა, რომელიც, ერთი მხრივ, წერილის ხასიათით - გარდაცვლილი პიროვნების გახსენება, ხოლო მეორე მხრივ, მათი პირადი ურთიერთდამოკიდებულებით - მასწავლებელი და მოსწავლე - არის განპირობებული, იგი მაინც სათანადო ყურადღებას იმსახურებს, რადგან უდავოდ შეიცავს გიორგი წერეთლის პიროვნებასა და მის შემოქმედებასთან დაკავშირებულ საინტერესო მოსაზრებებს.

საერთოდ, გიორგი თუმანიშვილის თქმით, ახალგაზრდობა დიდი ინტერესით ხვდებოდა გიორგი წერეთლის მხატვრულ ნაწარმოებებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, მწერლის სადა სტილითა და წამოჭრილი საკითხების სიმძაფრით იყო გამოწვეული.

გიორგი თუმანიშვილი განსაკუთრებით აღნიშნავს გიორგი წერეთლის, როგორც დრამატურგის, ღვაწლს. კრიტიკოსის აზრით, მართალია, მწერლის დრამატულ ნაწარმოებებს განსაკუთრებული წარმატება არ ჰქონდა ქართულ სცენაზე, მაგრამ მაინც თვალსაჩინო როლი შეასრულეს ღარიბი ქართული რეპერტუარის გამდიდრებაში.

საინტერესოა, რომ გიორგი წერეთლის პიესების ნაკლებ პოპულარობას გიორგი თუმანიშვილი თავად ქართული დასის მსახიობთა თამაშის სტილით ხსნის. მისი აზრით, ქართულ დასში უფრო სახასიათო კომედიური როლების შემსრულებელი მსახიობები სჭარბობდნენ და, ამდენად, გიორგი წერეთლის დრამატული ნაწარმოებების რთული, სერიოზული შინაარსი და პერსონაჟების ხასიათები მათთვის, როგორც ჩანს, რამდენადმე ძნელად გადმოსაცემი იყო.

#### **დასკვნა:**

გიორგი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვას მრავალი სტატია-ნარკვევი მიემდგვნა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. აღსანიშნავია ასევე, თუ რა მხარეებს აქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას და რამდენად თანმიმდევრული და მართებული იყო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი მწერლის შემოქმედების ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის შესახებ.

გიორგი წერეთელმა მრავალმხრივი შემოქმედებით თავისი სიტყვა თქვა ქართულ მწერლობაში და მოაქცია იმდროინდელი საზოგადოების ინტერესების სფეროში. ნამდვილი ვითარების ღრმა და ყოველმხრივი შესწავლის გარეშე დაუშვებელია ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის კრიტიკოსთა შეფასება. ზოგიერთის აკვიატებულ თვალსაზრისს შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს კულტურული მემკვიდრეობის ათვისების საქმეს.

ნებისმიერი კრიტიკოსის ინტელექტუალური დონის მიუხედავად, მწერლის შემოქმედების განხილვისას მის ნააზრევში ყოველთვის რჩება

ისეთი რამ, რაც ბოლომდე ვერ აიხსნება, რადგან შემოქმედებითი პროცესი ერთგვარად დაკავშირებულია რთულ, ქვეცნობიერ იმპულსთანაც, ამ იმპულსებს კი სწორედ მწერალი გრძნობს სხვაზე უკეთ, ეს არის ერთ-ერთი პირობა მწერლის თანამედროვე თანამოკალმეთა მიერ გამოთქმული მოსაზრების დიდი ღირებულებისა.

ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა ნაშრომებში სხვადასხვა კუთხით არის გამჟღავნებული გარკვეული მიმართება გიორგი წერეთლის შემოქმედების ირგვლივ. ის, რაც გიორგი თუმანიშვილს უთქვამს, მოცულობით მცირეა, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი ამ უკანასკნელის დასახასიათებლად.

### გამოყენებული ლიტერატურა

**Туманов 1913:** Туманов М., Характеристики и воспоминания, книга 1. Тифлис. 1913.